

ა ნ გ ა რ ი შ ი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის

სამსახურის მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული

საქმიანობის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას განახორციელებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების, აგრეთვე სტრატეგიული სამუშაო გეგმიდან გამომდინარე შედგენილი 2018 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით. 2018 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა გეგმით გათვალისწინებული 7 და ერთი არაგეგმიური აუდიტორული შემოწმება, რის შედეგადაც გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევები და ნაკლოვანებები, რაზეც მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები, კერძოდ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე, მოვახდინეთ ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს მიერ 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ აუდიტორული შემოწმება, სადაც ირკვევა, რომ 2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -2002980 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში გაწეულია - 2000077 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- ხშირ შემთხვევებში სახეზეა წლიური ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) დაგეგმარების პროცესში განხორციელებული მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ დოკუმენტური ინფორმაციის უქონლობა, რის გამოც ვერ ხერხდება ცალკეული საბიუჯეტო მაჩვენებლების დასაბუთებულობის შეფასება. მაშინ, როცა ადგილი აქვს წლიური ხარჯთაღრიცხვის მრავალჯერად ცვლილებებს, რაც ფინანსური და ოპერაციული რისკების შემცველია.

- ნაკლები ყურადღება ეთმობა საბავშვო ბაღების შესაბამისი თანამშრომლების მიერ საკვები პროდუქტების მიღება-ხარჯვის და ნაშთის გამოყვანის ბრუნვითი უწყისის შედგენას. მთლიანობაში მოუწესრიგებელია, როგორც ბაღებში ყოველდღიურად

წარმოქმნილი ნაშთების, ისე მიმწოდებლებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტების ნაშთების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის, ფიქსაციის და იმ პირებისათვის დროული მიწოდების საკითხი, რომლებსაც აკისრიათ საკვები პროდუქტების მიღება-ხარჯვის დაცულობაზე კონტროლის ფუნქცია.

- ცალკეული ბალების მიხედვით, მენიუს სწორად შევსებაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან კვლავ მეორდება შეცდომები. გაერთიანებაში სხვადასხვა საბავშვო ბალებს დამტკიცებული მენიუს მიხედვით ერთ აღსაზრდელზე მომზადებული ერთი და იგივე დღის კერძები განფასებული აქვთ განსხვავებული თანხებით მაშინ, როცა გაერთიანებას საკვები პროდუქტები შეძენილი აქვს ერთსა და იმავე ფასად.

- გარდა ზემოთ მოყვანილი შემთხვევებისა ადგილი ჰქონდა არასწორი გადარიცხვების ფაქტებს, როგორც ხელფასების, ასევე მეწარმეების შემთხვევაში. ზემოხსენებული ხარჯვითი ოპერაციები გარდა ფინანსური რისკებისა შეიცავს (საბიუჯეტო სახსრების არასათანადო ხარჯვა, მიმწოდებლის მხრიდან უკმაყოფილება და ა.შ) რეპუტაციის რისკებს.

მიცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაერთიანებაში შემუშავდეს და დაინერგოს საბავშვო ბალებში წარმოქმნილი ყოველდღიური პროდუქტის ნაშთების შემოწმების ერთიანი პროცედურა, რომლითაც დარეგულირდება ნაშთების შესახებ მონაცემების ურთიერთშედარება, აღრიცხვისა და მოძრაობის წესები, ცალკეულ პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობები და სხვა აუცილებელი საკითხები.

- საბავშვო ბალებში საკვები პროდუქტების მიწოდებისას, მიმწოდებელთა მხრიდან სახელშეკრულებო პირობების (მიწოდების დრო, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები) დარღვევის გამოვლენისას, ბაღის პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ დარღვევის შესახებ ინფორმაციის სათანადო წესით დოკუმენტური ფიქსაცია (აღრიცხვა) და გაერთიანების შესაბამისი დანაყოფის ინფორმირება, რაც ერთის მხრივ შესაძლებელს გახდის მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გატარებას, ხოლო მეორეს მხრივ მაქსიმალურად შეამცირებს მომავალში მსგავსი რისკების წარმოშობას.

- გაერთიანების ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს გონივრული რწმუნების მიღებას სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დაწესებულების ან მის სტრუქტურულ ერთეულის (საბავშვო ბაღების) მიერ

მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულების თაობაზე. ამისათვის აუცილებელია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციები შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, მარეგულირებელ წესებს, შიდა პოლიტიკას. ასევე საჭიროა ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგება, საბიუჯეტო სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება.

- ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებისას, უნდა გაითვალისწინოს დაწესებულების სიდიდე, საქმიანობისა და ოპერაციების კომპლექსურობა, უნებლიე შეცდომების დაშვების ან/და სხვ გადაცდომების რისკები და მათი შესაძლო შედეგები. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს წინასწარი და პრევენციული კონტროლების მექანიზმების ჩამოყალიბებას.

- ზემოაღნიშნული რისკების (რეპუტაციის რისკი) შემცირებისათვის, რეკომენდირებულია გაერთიანებაში შემუშავდეს ღონისძიებები/მექანიზმები საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის წინასწარი და შემდგომი კონტროლის განხორციელებისათვის, რაც გაერთიანებას საშუალებას მისცემს გააკონტროლოს გასაწევი ხარჯების ადეკვატურობა, დროულობა, მიზნობრიობა, საფუძვლიანობა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის სათანადოობა.

2. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე შპს „ხელვაჩურის წყალკანალი“-ს მიერ 2017 წლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებით გამოვლინდა, რომ შპს-„ხელვაჩურის წყალკანალი“-ს 2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -503973 ლარის სუბსიდია. 2017 წლის პერიოდში გაწეულია - 503875 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 99%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა - 98 ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- საწვავის ხარჯვითი ნაწილის შემოწმებისას ირკვევა, რომ შეუსაბამოებებია საწვავის მომწოდებელი ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებსა (ამონაწერი) და საზოგადოებაში თითოეული ტექნიკის მიერ გახარჯულ საწვავზე წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

- საწვავის ხარჯვის აქტებში არ არის დაფიქსირებული ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გავლილი მანძილის შესახებ, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ არ არის დამკვიდრებული საწვავის მარაგების გამოყენების წინასწარი და შემდგომი კონტროლი, რაც იწვევს მარაგების დაუცველობას და არაეფექტური გამოყენების რისკს.

- საზოგადოების ბალანსზე რიცხულ ორ ერთეულ (UAZ-ი ს/ნ GMB-968 და UAZ ს/ნ BBM-743) სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დადგენილი საწვავის წვის ნორმა კომისიური თუ საექსპერტო დასკვნის საფუძველზე და შესაბამისად, ამ სატრანსპორტო საშუალებებზე ლიმიტები განსაზღვრულია სათანადო დასაბუთებისა და გაანგარიშების გარეშე.

- შპს „ხელვაჩაურის წყალკანალი“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიუხედავად, არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ არის შედგენილი ინვენტარიზაციის შედეგების აქტები.

- საზოგადოებაში მოსაწესრიგებელია მატერიალური სასაქონლო მარაგების დაცულობა და მოძრაობა. საწყობში მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ არ ხორციელდება მატერიალური სასაქონლო მარაგების მიღება-გაცემების აღრიცხვა.

- აუდიტორული შემოწმებისას გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებისას მონეტარული ზღვრების დარღვევისა და ხელოვნური დაყოფის ფაქტები. რამოდენიმე შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილია მომსახურება მონეტარული ზღვრების დარღვევით.

- გამარტივებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტაციის გარკვეული წილი სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაგვიანებით.

მიცემული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საზოგადოებაში დამკვიდრებული იქნეს ერთგვაროვანი მიდგომა სატრანსპორტო საშუალებების საწვავის წვის ნორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით და ამგვარი ნორმა განისაზღვროს ყველა შესაბამის სატრანსპორტო ერთეულზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ცალკეულ სატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტის დასაბუთებულობა. ასევე რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში საწვავის გამოყოფის საჭიროებისას წარმოდგენილ იქნეს შესაბამის პასუხისმგებელ პირთა დასაბუთება და ხელმძღვანელის გადაწყვეტილება.

- საზოგადოებამ ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდში იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება მატერიალური ფასეულობების მოძრაობის სრული, ზუსტი, დროული და რეგულარული ასახვა/აღრიცხვა.

- აუცილებელია საზოგადოებამ გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას გაითვალისწინოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს“ პუნქტის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი დადგენილია 5000 ლარამდე ღირებულების სახელმწიფო შესყიდვისათვის.

- გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების CMR-ში რეგისტრაცია უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“-ს მე-5 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებიდან (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტიდან) 10 დღის ვადაში.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2018 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე მოვახდინეთ ა(ა)იპ-„სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა“-ს აუდიტორული შემოწმება. 2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განესაზღვრა -391872 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ -391872 ლარი შეადგინა, ანუ გეგმა შესრულებულია 100%-ით.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- საწვავის ხარჯვითი ნაწილის შემოწმებისას ირკვევა, რომ გამოყოფილ და გახარჯულ საწვავზე სახელოვნებო სკოლაში არ არსებობს შესაბამისი ბრძანება საწვავის ლიმიტის დამტკიცების შესახებ.

- სახელოვნებო სკოლაში დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიუხედავად, ინვენტარიზაცია ჩატარებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

- სახელოვნებო სკოლაში არ ხდება შინაგანაწესით დადგენილი ზოგიერთი დოკუმენტაციის წარმოება, ასევე ადგილი აქვს დასაქმებულთა მიერ შრომის შინაგანაწესის დარღვევის ფაქტებს.
- სახელოვნებო სკოლის მიერ ნაკლები ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა შემონატანით გათვალისწინებული თანხების დავალიანების დაფარვას.

მიცემული რეკომენდაციები:

- სახელოვნებო სკოლამ, ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდში იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება მატერიალური ფასეულობების მოძრაობის სრული, ზუსტი, დროული და რეგულარული ასახვა/აღრიცხვა.
- ორგანიზაციამ, უნდა უზრუნველყოს სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების ტაბელის წარმოება, ასევე დაცული უნდა იქნეს სამსახურში თანამშრომლების გამოცხადების დრო.
- მკაცრად დაიცვას შინაგანაწესი და წესრიგში იქონიოს შინაგანაწესით დამტკიცებული სავალდებულო დოკუმენტაცია, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტაცია აწესრიგებს და არეგულირებს სახელოვნებო სკოლის სასწავლო პროცესის სწორად და ეფექტურად მართვას.
- სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელობამ, დროულად შეიმუშაოს და კმედითი ღონისძიებები გაატაროს ცალკეულ მოსწავლეზე რიცხული დავალიანების დაფარვის მიზნით.

4. ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2017 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩავატარეთ ა(ა)იპ-„ხელვაჩურის სასაფლაოები“-ს 2016-2017 წლების ხარჯთაღრიცხვის შესრულების შესახებ აუდიტორული შემოწმება, რითაც გამოვლენილი იქნა რიგი ხარვეზები.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- საწვავის ხარჯვითი ნაწილის შემოწმებისას ირკვევა, რომ გამოყოფილ და გახარჯულ საწვავზე ორგანიზაციაში არ არსებობს შესაბამისი ბრძანება საწვავის ლიმიტის დამტკიცების შესახებ.

- ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასაფლაოების დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიუხედავად, ინვენტარიზაცია ჩატარებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.
- ორგანიზაციაში არ იწარმოება გარდაცვლილ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალები, რაშიც უნდა აღირიცხოს გარდაცვლილთა შესახებ ყველა აუცილებელი ინფორმაცია.
- გამარტივებული შესყიდვა განხორციელებულია, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების დარღვევით.
- რიგ შემთხვევაში, მატერიალურ-ფასეულობათა შესყიდვისას მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არასრულყოფილია. არ არის გაწერილი საჯარიმო სანქციები (პირგასამტეხლო) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ასევე არ არის განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

მიცემული რეკომენდაციები:

- ხელვაჩაურის სასაფლაოებმა ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდში იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება მატერიალური ფასეულობების მოძრაობის სრული, ზუსტი, დროული და რეგულარული ასახვა/აღრიცხვა.
- ხელვაჩაურის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს № 25 დადგენილებით დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესი“-ს მე-6 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს და გარდაცვლილ პირთა სარეგისტრაციო ჟურნალებში უნდა აისახოს გარდაცვლილის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: ა) სახელი, გვარი; ბ) დაბადების და გარდაცვალების დრო; გ) გარდაცვალების მოწმობა. აქედან გამომდინარე სარეგისტრაციო ჟურნალებში სრულად უნდა იყოს ასახული ზემოხსენებული მონაცემები.
- ორგანიზაციამ გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას იხელმძღვანელოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით.“

5. ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-ს 2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -351975 ლარის სუბსიდია. 2017 წლის პერიოდში გაწეულია - 351761,61 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 99,9%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა -213 ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- აუდიტორული შემოწმებისას გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებისას მონეტარული ზღვრების დარღვევისა და ხელოვნური დაყოფის ფაქტები. რამოდენიმე შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის გზით შეძენილია მომსახურება მონეტარული ზღვრების დარღვევით.

- გამარტივებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტაციის გარკვეული წილი სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაგვიანებით.

- ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანების მიუხედავად, ინვენტარიზაცია ჩატარებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

- სახელმწიფო შესყიდვის რამდენიმე ხელშეკრულებით, სამსახურის მიერ მიღებული საქონლის/მომსახურების ღირებულება ანაზღაურებულია მიღება-ჩაბარების აქტების გარეშე.

- რიგ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალი ნაწილების და სხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას არ არის შედგენილი დეფექტური აქტი. აღნიშნული გარემოებები ოპერაციული რისკების შემცველია, რადგანაც მათზე რიგ შემთხვევებში დამოკიდებულია ცალკეული მომსახურების გაწევის პერიოდულობა და ზოგადად აღრიცხვა-ანგარიშგების სისწორე.

მიცემული რეკომენდაციები:

- აუცილებელია საზოგადოებამ გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას გაითვალისწინოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს1“ პუნქტის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი დადგენილია 5000 ლარამდე ღირებულების სახელმწიფო შესყიდვისათვის.

- გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების CMR-ში რეგისტრაცია უნდა მოხდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“-ს მე-5 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებიდან (მათ შორის, ხელშეკრულების შეწყვეტიდან) 10 დღის ვადაში.
- სამსახურმა ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდში იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, რომელთა საშუალებითაც განხორციელდება მატერიალური ფასეულობების მოძრაობის სრული, ზუსტი, დროული და რეგულარული ასახვა/აღრიცხვა.
- მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება უნდა განახორციელოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რაც დაადასტურებს საქონლის/მომსახურების სრულად მიღებას, როგორც ამას ითვალისწინებს სამსახურის მიერ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები.
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალი ნაწილების და სხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას, მიზანშეწონილია მიმწოდებლებმა განახორციელოს შესასრულებელი სამუშაოს, შესაკეთებელი ან შესაცვლელი დეტალების დათვალიერება და შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენა, რომელშიც მითითებული იქნება კონკრეტული შესაკეთებელი ან შესაცვლელი დეტალის ზუსტი დასახელება და ფასი, დაზიანების სახე და მისი გამოცვლის დასაბუთება, რის საფუძველზეც განხორციელდება შესაბამისი მომსახურება.

6. ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი“-ს 2017 წელს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტით განესაზღვრა -400193 ლარის სუბსიდია, ამავე პერიოდში გაწეულია -392135,12 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 98%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა -1737,57ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- 2017 წელს განხორციელებულ შესყიდვებში შეინიშნება სახელმწიფო შესყიდვების მონეტარული ზღვრების დარღვევის ფაქტი.

- რიგ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული შესყიდვის საფუძველი, ასევე ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 30 დღით არ აღემატება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

- გამარტივებული შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებისა და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტაციის გარკვეული წილი სისტემაში ატვირთულია კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაგვიანებით.

მიცემული რეკომენდაციები:

- გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას, კულტურის ცენტრმა გაითვალისწინოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს1“ პუნქტის რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, გამარტივებული შესყიდვის მონეტარული ზღვარი დადგენილია 5000 ლარამდე ღირებულების სახელმწიფო შესყიდვისათვის.

- გათვალისწინებული იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გამარტივებული შესყიდვის სამართლებრივ საფუძველს-კანონის შესაბამის ნორმას. ასევე გათვალისწინებული იქნას ამავე ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურების გაწევისთვის ან სამშენებლო სამუშაოს შესრულებისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.

7. ა(ა)იპ-„ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა“-ს 2017 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვით განესაზღვრა -272860 ლარის სუბსიდია. ამავე პერიოდში გაწეულია - 263969 ლარის საკასო ხარჯი, ანუ გეგმა შესრულებულია 96,7%-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 8891 ლარი.

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა სასპორტო სკოლაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონშესაბამისობის დადგენის მიზნით და გამოვლინდა, რომ სპორტული ინვენტარის (ფეხბურთის ბურთები) შეძენისას ადგილი ქონდა ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტს. კერძოდ, შესყიდვის ორი ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1800 ლარი გაფორმებული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში სასპორტო სკოლის მოქმედ თანამშრომელთან, (გ.გ.) რომელიც არის ფეხბურთის მწვრთნელი და იმავდროულად წარმოადგენს მიმწოდებელს შპს „გუგა“-ს. მართალია ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა“ არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებას და ხსენებული თანამშრომელი საჯარო მოხელეს, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანონის მოთხოვნები ვრცელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახსრებით, ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვაზე. ამავე კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში მიმწოდებლის შერჩევას უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობების დადგენა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ წლის განმავლობაში სასპორტო სკოლის მიერ განხორციელებულ და აღნიშნულ შესყიდვებთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი რაიმე ფორმის დოკუმენტი, რაც აუდიტორს მისცემდა ბაზარზე არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველს.

მიცემული რეკომენდაციები:

სახელმწიფო შესყიდვის კანონშესაბამისობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, ორგანიზაციაში ყველა შესყიდვა განხორციელდეს სათანადო ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომ გამოირიცხოს ბაზარზე არსებული მიმწოდებლებისათვის ბარიერებისა და არაკონკურენტუნარიანობის რისკები, რადგანაც შესყიდვების მეთოდოლოგიის თანახმად, ბაზრის კვლევა შესყიდვის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ასევე, მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტებზე და წერილობით უნდა იქნას დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მხრიდან ინტერესების

არარსებობაზე, რომ გამოირიცხოს კორუფციული და არასანქცირებული გარიგების რისკები.

8. 2018 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სამსახურმა ერთ შემთხვევაში არაგეგმიურად განახორციელა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2017 წლის საბიუჯეტო პროგრამების აუდიტორული შემოწმება, რომლის ბიუჯეტიც შეადგენდა -530575 ლარს. შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა რიგი ნაკლოვანებები, კერძოდ:

ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები:

- ხარვეზები შეინიშნება საბიუჯეტო პროგრამების დაგეგმარება-პროგნოზირების კუთხით, როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ასევე სოციალური დაცვის განყოფილებაში. გარკვეული ცდომილება შეინიშნება დაგეგმილსა და შესრულებულ პროგრამულ ბიუჯეტებს შორის.
- რიგ შემთხვევებში, ცალკეული პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების დადასტურების შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციას (მიღება-ჩაბარების აქტი, გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშფაქტურა) არ ახლავს ბენეფიციართა მიერ ხელწერით დამოწმებული ყოველთვიური სიები, რაც დაადასტურებს ფაქტიურად გაწეულ მომსახურებასთან შესაბამისობას.
- პროგრამის ფარგლებში ჩართული სამედიცინო პერსონალის მხრიდან, რომელთაც აკისრიათ მედიკამენტების მიღება-ხარჯვის დაცულობაზე კონტროლის ფუნქცია, ნაკლები ყურადღება ეთმობა მედიკამენტების მიღება-ხარჯვის და ნაშთის სიზუსტით აღრიცხვის დოკუმენტის შედგენას.
- ხარვეზები შეინიშნება პროგრამაში, რომლის მიხედვითაც ბენეფიციარებს სრული წლის განმავლობაში ყოველთვიურად თანაბრად და სრულფასოვნად უნდა მიეწოდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტები.
- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმრავლეს შემთხვევაში მედდების მიერ ნაწარმოებ სამედიცინო დოკუმენტაციაში (სარეგისტრაციო ჟურნალი) არ ფიქსირდება ბენეფიციარების ხელწერები, რაც დაადასტურებდა პროგრამის ფარგლებში გაწეულ სამედიცინო მომსახურების მიღებას ან/და მედიკამენტების გადაცემას.

მიცემული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია განსახორციელებელ პროგრამათა ბიუჯეტის დაგეგმვისას სრულყოფილად იქნას გათვალისწინებული წინა წლების საბიუჯეტო პროგრამებში

განხორციელებული ცვლილებები, ასევე ფაქტიური შესრულების შესახებ ანგარიშების მონაცემები. ახალი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კი სამსახურმა სათანადო დოკუმენტური წესით მოპოვებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განსაზღვროს კონკრეტული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ გადანაწილებას სამსახურის მიერ განსახორციელებელ პროგრამებს შორის.

- მომსახურების საფასურის ანაზღაურების მიზნით, აუცილებელია მაქსიმალურად განხორციელდეს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი) მონაცემებსა და ფაქტიურად გაწეულ მომსახურების დამადასტურებელ მონაცემებს შორის. (სიები, სარეგისტრაციო ჟურნალების მონაცემთა გამოყენებით). აღნიშნული შეამცირებს პროგრამით მოსარგებელე ბენეფიციართა მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურების არასრულფასოვნად მიღებისა და სახელშეკრულებო პირობათა არაჯეროვნად შესრულების რისკ-ფაქტორებს.

- რეკომენდირებულია სამსახურში შემუშავდეს და დაინერგოს მედიკამენტების მიღება-ხარჯვის შედეგად წარმოქმნილი ყოველთვიური მედიკამენტების ნაშთების შემოწმების ერთიანი პროცედურა, რითაც დარეგულირდება ნაშთების შესახებ მონაცემების სიზუსტით აღრიცხვისა და მოძრაობის წესები.

- პროგრამის ბიუჯეტის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრის და წლის ნებისმიერი პერიოდისათვის ცალკეულ მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით, რეკომენდირებულია, სატენდერო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულებების ტექნიკური პირობების გადახედვა. აღნიშნული გააუმჯობესებს ჯანდაცვის პროგრამების მიწოდების ორგანიზებას და შეამცირებს მათზე არათანაბარ ხელმისაწვდომობას.

- პროგრამების სათანადოდ და ეფექტიანად განხორციელებისათვის და ფინანსური რისკების შემცირებისათვის, რეკომენდირებულია შემუშავდეს და დამკვიდრდეს მონიტორინგის/კონტროლის განხორციელების მეთოდოლოგია, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ერთგვაროვანი მიდგომა, მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა, შერჩევის მეთოდები, ხოლო აღნიშნული საბოლოოდ მონიტორინგის პროცესს გახდის ორგანიზებულს და სისტემატიზირებულს. ასევე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნეს დროითი და ადამიანური რესურსი.

- მიზანშეწონილია სამსახურმა განახორციელოს პროგრამით მოსარგებელე ბენეფიციართა პერიოდული გამოკითხვა მათი კმაყოფილების დონისა და

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების პაკეტის სრულად მიღების განსაზღვრის მიზნით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის
ხელმძღვანელი



მერაბ თურმანიძე